GCSD

შეირალებაზე კონტროლის

არქიტექტურის მომავალი

შეიარაღებაზე კონტროლის არქიტექტურის მომავალი

ავტორი: მეგი ბენია

თბილისი

2023

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD) არასამეწარმეო, არასამთავრობო ორგანიზაციაა. ჩვენი ძირითად მიზნებია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ქვეყნის ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის პრინციპების განმტკიცება და ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობების შექმნა. მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენი საქმიანობა მოიცავს: კვლევას, მონიტორინგს, ადვოკატირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. ჩვენი ღირებულებები ეფუძნება თანასწორობის, ადამიანის თავისუფლების, პატივისცემის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.

წინამდებარე ნაშრომში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს GCSD-ის პოზიციას. GCSD-ის წერილობითი თანხმობის გარეშე დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

GCSD

შესავალი

შეიარაღებაზე კონტროლის მექანიზმები წარმოადგენს ცივი ომის პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე მთავარ მიღწევას მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაფოყად.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერები იაზრებდნენ ბირთვული იარაღის შემცირებისა და საბოლოო განადგურების მნიშვნელობას. ამ მიზნით, ცივი ომის დაძაბულ ვითარებაშიც კი, ამერიკულმა მხარემ გადაწყვიტა პირდაპირი მოლაპარაკებები ეწარმოებინა საბჭოთა კავშირთან. შედეგად, მეოცე საუკუნის 80-იანი წლების დასასრულისთვის მხარეებს შორის ჩამოყალიბებული იყო შეიარაღებაზე კონტროლის რამდენიმე მნიშვნელოვანი მექანიზმი. ამას დაემატა სსრკ-ის დაშლის შემდეგ გაფორმებული კიდევ სხვა შეთანხმებები. თუმცა რუსეთის რევიზიონისტულმა პოლიტიკამ, წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის ნორმების უგულვებელყოფამ თითქმის სრულად მოშალა შეიარაღებაზე კონტროლის შექმნილი არქიტექტურა. შედეგად, აშშ-რუსეთს შორის არსებული შეთანხმება New START წარმოადგენს ამ სფეროში ერთადერთ არსებულ მექანიზმს ბირთვულ შეიარაღებაზე კონტროლის თვალსაზრისით.

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წარმოებულმა გაუმართლებელმა და არაპროვოცირებულ ომმა კიდევ უფრო აქტუალური გახადა შეიარაღებაზე კონტროლის მომავალი არქიტექტურის საკითხი. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა აღნიშნულმა საკითხმა მას შემდეგ, რაც უკრაინის ომში განცდილმა სამხედრო მარცხმა უბიძგა რუსეთის ლიდერების გაეაქტიურებინათ დასავლეთის წინააღმდეგ ბირთვული იარაღის შესაძლო გამოყენების შესახებ საგანგაშო რიტორიკა.

აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად, აშშ დღემდე გამოთქვამს მზაობას აწარმოოს მოლაპარაკებები რუსეთთან New START-ის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით, რომელსაც ვადა 2026 წელს ეწურება. თუმცა რუსეთი განაგრძობს დესტრუქციულ ქმედებებს და სხვადასხვა საბაბით თავს არიდებს აღნიშნული მოლაპარაკებების განახლებას. მეტიც, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 2023 წლის 21 თებერვლის გამოსვლაში განაცხადა, რომ რუსეთი აჩერებს New START-ში მონაწილეობას, თუმცა არ გადის ხელშეკრულებიდან.

აქედან გამომდინარე, აღნიშნული ნაშრომში წარმოდგენილია New START-ის მოლაპარაკებებთან დაკავშირებული ვითარება და განხილულია შეიარაღებაზე კონტროლის სამომავლო პერსპექტივები.

შეიარაღებაზე კონტროლის მექანიზმები აშშ-რუსეთს შორის

ცივი ომის პერიოდიდან აშშ და რუსეთს შორის არსებობდა შეიარაღებაზე კონტროლის რამდენიმე მნიშვნელოვანი მექანიზმი. მათ შორის აღსანიშნავია SALT და START შეთანხმებები და INF შეთანხმება.

SALT I და SALT II

1969 წელს, აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის დაიწყო მოლაპარაკებები სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ (SALT), რომლის შედეგად მხარეებს შორის 1972 წლის მაისში გაფორმდა ორი შეთანხმება.[1]

ანტიბალისტიკური რაკეტების (ABM) შესახებ შეთანხმება მიზნად ისახავდა სტრატეგიული თავდაცვითი რაკეტების ინტერსეპტორების რაოდენობის ჯერ 200-მდე, ხოლო შემდგომში 100-მდე შემცირებას. 2002 წელს, აშშ გამოვიდა აღნიშნული შეთანხმებიდან.[2]

მეორე ე.წ. „დროებითი შეთანხმების“ საფუძველზე მხარეები თანხმდებოდნენ, რომ აღარ ააშენებდნენ კონტინენტთა შორის ბალისტიკური რაკეტების (ICBM) გასაშვებ პუნქტებს და საგრძნობლად არ გაზრდიდნენ არსებული პუნქტების განზომილებებს. შეთანხმება ასევე ეხებოდა წყალქვეშა ხომალდების ბალისტიკურ რაკეტებს (SLBM). დოკუმენტის ხელმოწერის შედეგად აშშ-მა და საბჭოთა კავშირმა მართლაც შეამცირეს ICBM-ებისა და SLBM-ების გასაშვები პუნქტების რაოდენობა.[3]

[1] Strategic Arms Limitations Talks/Treaty (SALT) I and II, n.d.
[2] იქვე
[3] იქვე

1972 წელს დაიწყო აღნიშნული მოლაპარაკებების მეორე რაუნდი SALT II.[4] მოლაპარაკებების შედეგად 1979 წელს ხელი უნდა მოეწერათ SALT II შეთანხმებისთვის, რომელიც გარდა ICBM-ებისა და SLBM-ებისა, შეეხებოდა ასევე ბირთვულ სტრატეგიული ბომბდამშენებს. საბჭოთა კავშირის ავღანეთში შეჭრის შემდეგ, პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა მიიღო გადაწყვეტილება არ გაეგზავნა დოკუმენტი კონგრესში განსახილველად. მიუხედავად იმისა, რომ არ მოხდა დოკუმენტის ძალაში შესვლა, აშშ და საბჭოთა კავშირი გამოთქვამდნენ მზადყოფნას შეესრულებინათ დოკუმენტში გაწერილი დებულებები. თუმცა 1986 წელს, პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა განაცხადა, რომ სტრატეგიულ ბირთვულ შეიარაღებაზე სამომავლო გადაწყვეტილებები მიღებული იქნება საბჭოთა ჯარებიდან მომდინარე საფრთხის შესაბამისად და არა დამაზარალებელი SALT II შეთანხმების თანახმად.[5]

START I და START II

სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ შეთანხმებას (START I), რომელიც ინიცირებული იყო 1980-იან წლებში პრეზიდენტ რეიგანის მიერ, ხელი მოეწერა 1991 წელს. შეთანხმება ავალდებულებდა აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შეემცირებინათ სტრატეგიული ბირთვული არსენალის რაოდენობა 1600-მდე. შეთანხმების ძალაში შესვლა გადაიდო რამდენიმე წლით საბჭოთა კავშირის დაშლისა და უკრაინის, ყაზახეთისა და ბელარუსის დენუკლიარიზაციის პროცესის გამო. შეთანხმებიტ გათვალისწინებული შემცირება დასრულდა 2001 წელს, ხოლო დოკუმენტის მოქმედების ვადა ამოიწურა 2009 წელს.[6]

1993 წელს, ჯორჯ ბუშ უფროსმა და ბორის იელცინმა ხელი მოაწერეს START II-ს. ხელშეკრულების რატიფიცირების თავდაპირველ ვადად განსაზღვრული იყო 2003 წელი, მაგრამ 1997 წლის დამატებითმა პროტოკოლმა ეს თარიღი 2007 წლამდე გადაწია. START II დამტკიცებულ იქნა სენატისა და დუმის მიერ, მაგრამ ის ძალაში ვერ შევიდა, რადგან სენატმა უარი თქვა 1997 წლის პროტოკოლისა და ABM შეთანხმების რამდენიმე შესწორებების რატიფიცირებაზე. აღნიშნული მოთხოვნილი იყო რუსეთის დუმის მიერ, როგორც წინაპირობა START II-ის ძალაში შესასვლელად. 2002 წელს აშშ-ის გამოსვლამ ABM შეთანხმებიდან საბოლოო გააჩერა დოკუმენტის ძალაში შესვლის პროცესი.[7]

---

[4] იქვე
[5] იქვე
[6] START I, n.d.
[7] იქვე

New START

2010 წელს ბარაკ ობამამ და ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერეს New START-ს. აღნიშნულმა შეთანხმებამ ჩაანაცვლა ჯორჯ ბუშ უმცროსსა და ვლადიმერ პუტინს შორის დადებული მოსკოვის შეთანხმება (SORT).[8] 2018 წლისთვის ორივე მხარემ შეძლო დოკუმენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება დადგენილ ვადებში. 2021 წელს, აშშ-ის ინიციატივით მოხდა შეთანხმების გაგრძელება ხუთი წლის ვადით 2026 წლამდე.[9]

არასტრატეგიული ბირთვულ შეიარაღებაზე კონტროლის ზომები

საშუალო და მცირე რადიუსის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ შეთანხმება (INF), რომელიც გაფორმდა საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის 1987 წელს შეეხებოდა არასტრატეგიულ ბირთვულ შეიარაღებაზე კონტროლს.[10] აღნიშნული დოკუმენტი უაღრესად მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენდა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა ადგილზე ინსპექტირების ჩატარება, რაც START I-საც შეეხო. თუმცა რუსეთის მხრიდან შეთანხმებით გათვალისწინებული ნორმების მრავალჯერადი დარღვევის შედეგად, აშშ საბოლოოდ გავიდა ხელშეკრულებიდან 2019 წელს.[11]

სტრატეგიული სტაბილურობის დიალოგი

2021 წლის გაზაფხულზე ჟენევაში გაიმართა აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენისა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის შეხვედრა. მხარეებმა საფუძველი ჩაუყარეს აშშ-რუსეთს შორის სტრატეგიული სტაბილურობის დიალოგს, რომლის მიზანს წარმოადგენდა შეიარაღებაზე კონტროლის ახალი არქიტექტურის ჩამოყალიბება.

30 სექტემბერს, ჟენევაში გაიმართა სტრატეგიული სტაბილურობის დიალოგის მეორე შეხვედრა[12]. აშშ-ის დელეგაციას ხელმძღვანელობდა სახელმწიფო მდივნის მოადგილე უენდი შერმანი, ხოლო რუსეთის დელეგაციას საგარეო საქმეთა

[8] New START Treaty, n.d.
[9] იქვე
[10] INF Treaty, n.d.
[11] U.S. Withdraws From Intermediate-Range Nuclear Forces Treaty, n.d.
[12] U Joint Statement on the Outcomes of the U.S. – Russia Strategic Stability Dialogue in Geneva on September 30, n.d.

მინისტრის მოადგილე სერგეი რიაბკოვი. შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ დიალოგის ფარგლებში ორი სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ: 1) სამუშაო ჯგუფი შეიარაღებაზე კონტროლის სამომავლო პრინციპებსა და ამოცანებზე (Working Group on Principles and Objectives for Future Arms Control) და 2) სამუშაო ჯგუფი სტრატეგიული მნიშვნელობის შესაძლებლობებსა და ქმედებებზე (Working Group on Capabilities and Actions with Strategic Effects).

მიუხედავად ამერიკული მხარის კეთილსინდისიერი ზრახვებისა, ხელშესახები შედეგისთვის მიეღწიათ შეიარაღებაზე კონტროლის არქიტექტურის გაძლიერების მიმართულებით, ნათელი იყო რომ რუსეთს აღნიშნული პროცესის გამოყენება საკუთარი პოლიტიკური ამბიციების მისაღწევად სურდა. სწორედ ამიტომ რამდენიმე თვის განმავლობაში არაერთი მაღალი დონის ვიზიტი განხორციელდა მოსკოვში, მათ შორის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) დირექტორის უილიამ ბერნსის[13], პოლიტიკურ საკითხებში სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვიქტორია ნულანდისა[14] და ევროპულ და ევრაზიულ საკითხებში სახელმწიფო მდივნის თანაშემწის კარენ დონფრიდის მიერ. ამას ემატებოდა პრეზიდენტ ბაიდენსა და პრეზიდენტ პუტინს შორის შემდგარი სატელეფონო საუბრები. აღნიშნულმა ძალისხმევამ შედეგი არ გამოიღო.

რუსეთის მიერ შეთავაზებული ე.წ. „უსაფრთხოების გარანტიები“ და აშშ-ის პასუხი

17 დეკემბერს, რუსეთის ფედერაციამ გამოაქვეყნა აშშ-სთან და ნატო-სთან შეთანხმების პროექტები.[15] რუსული პოზიციის თანახმად, დოკუმენტების ხელმოწერა რუსეთს მისცემდა უსაფრთხოების გარანტიებს, რაც განმუხტავდა ევროპაში არსებულ დაძაბულ ვითარებას. პროექტების მიხედვით, აშშ-ს უარი უნდა ეთქვა ნებისმიერი ტიპის ბირთვული შეიარაღების განლაგებაზე ევროპაში, ალიანსი უნდა დაბრუნებოდა 1997 წლამდე მდგომარეობას, ხოლო ნატო-ს გაფართოების პოლიტიკა და ახალი წევრების მიღება, განსაკუთრებით მათი ვინც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდნენ, უნდა შეჩერებულიყო.[16]

ამაზე საპასუხოდ, თებერვალში აშშ-მა და ნატო-მ მოამზადეს დოკუმენტები და წარუდგინეს რუსულ მხარეს[17]. ამერიკის მიერ მომზადებული პასუხი კატეგორიულად

[13] Troianovski & Barnes, 2021
[14] Under Secretary Nuland's Trip to Russia, Lebanon, and the United Kingdom, n.d.
[15] Договор между Российской Федерацией и Соединенными Штатами Америки о гарантиях безопасности, n.d.
[16] იქვე
[17] Respuesta de EE UU, 2021

უარყოფდა ნატო-ს გაფართოებასა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების სუვერენიტეტთან დაკავშირებული საკითხების განხილვას, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგებოდა ცივი ომის შემდგომ გაფორმებული დოკუმენტების საფუძველზე ევროპაში ჩამოყალიბებული უსაფრთხოების არქიტექტურის ქვაკუთხედ პრინციპებს[18]. თუმცა აშშ სთავაზობდა რუსეთს შეიარაღებაზე კონტროლის შესახებ მოლაპარაკებების წარმოებას, მათ შორის New START-ის გახანგრძლივების შესახებ სტრატეგიული სტაბილურობის, ეუთოს და ნატო-რუსეთის კომისიის ფორმატებში[19].

აშშ-ის პასუხს წინ უძღვოდა რამდენიმე მოლაპარაკების რაუნდი ეუთოში, ნატო-რუსეთის კომისიისა და სტრატეგიული სტაბილურობის დიალოგის ფარგლებში.

რა თქმა უნდა, ასეთმა დიპლომატიურმა ძალისხმევამ შედეგი არ გამოიღო. რუსეთისთვის აშშ-ის შემოთავაზება მიუღებელი აღმოჩნდა. მათი განმარტებით ის ვერ აკმაყოფილებდა რუსეთის პრეტენზიებს უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

New START და შეიარაღებაზე კონტროლი: არსებული ვითარება

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებულმა გაუმართლებელმა და არაპროვოცირებულმა ომმა შეასუსტა შეიარაღებაზე კონტროლის არსებული არქიტექტურა და განუსაზღვრელი ვადით შეაჩერა სტრატეგიული სტაბილურობის დიალოგის ფარგლებში მიმდინარე კონსულტაციები. ამასთან, რუსეთის განმეორებითმა აგრესიამ უკრაინის წინააღმდეგ კიდევ ერთხელ დაადასტურა 1994 წლის ბუდაპეშტის მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების უგულვებელყოფა რუსეთის ხელისუფლების მიერ. მემორანდუმის საფუძველზე უკრაინამ დათმო საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობის შედეგად მის ტერიტორიაზე არსებული ბირთვული იარაღი და შეუერთდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ შეთანხმებას (NPT).[20] აღნიშნულის სანაცვლოდ მემორანდუმის ხელმომწერი მხარეები, მათ შორის რუსეთის ფედერაცია,

[18] იქვე
[19] იქვე
[20] Memorandum on security assurances in connection with Ukraine's accession to the Treaty on the Non-Proliferation of Nuclear Weapons, n.d.

იღებდნენ ვალდებულებას დაეცვათ უკრაინის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.[21] შესაბამისად, რუსეთის სრულმასშტაბიანი ომი უკრაინის წინააღმდეგ პირდაპირ არღვევს შეიარაღებაზე კონტროლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმის NPT-ის ნორმებსაც.

ამ და სხვა დარღვევების, მათ შორის ომის დაწყებამდე რუსეთისთვის გაგზავნილი შეთავაზებების უგულვებელყოფის მიუხედავად, 1-ელ აგვისტოს NPT-ის მე-10 გადახედვის კონფერენციასთან დაკავშირებულ განცხადებაში, ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ აშშ მზად არის დაიწყოს ოპერატიული მოლაპარაკებები შეიარაღებაზე კონტროლის ახალი ჩარჩოს შესახებ, რათა მოხდეს New START-ის ჩანაცვლება, რომელსაც ვადა გასდის 2026 წელს.[22] აღნიშნულისთვის საჭიროა, რუსეთმა აჩვენოს მზადყოფნა აშშ-სთან ბირთვულ შეიარაღებაზე კონტროლის შესახებ თანამშრომლობის გასაახლებლად.[23]

2022 წლის 8 აგვისტოს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ რუსეთი დროებით აჩერებს New START-ით გათვალისწინებული ობიექტების ინსპექტირებაზე დაშვებას.[24] მათი განმარტებით, რუსეთი იძულებულია მიმართოს ამ ზომას, რადგან აშშ ცდილობს მოახდინოს ინსპექტირების იმგვარი გადახედვა, რომელიც მისცემს მას ცალმხრივ უპირატესობას და ფაქტობრივად ართმევს რუსეთს ამერიკის ტერიტორიაზე ინსპექტირების ჩატარების უფლებას. გარდა ამისა, ამერიკის მიერ დაწესებული შეზღუდვები, რომლის საფუძველზეც რუსეთის საინსპექციო ჯგუფებისთვის დახურულია აშშ-სა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოების საჰაერო სივრცე და მათზე არ გაიცემა ვიზები, არათანაბარ პირობებში აყენებს რუსეთს, რადგან ამერიკული მხარისთვის ასეთი შეზღუდვები არ მოქმედებს.[25] მოცემული განცხადება დაადასტურა ასევე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგეი რიაბკოვმა, რომელიც წარმოადგენდა რუსეთს სტრატეგიული სტაბილურობის დიალოგსა და ე.წ. „უსაფრთხოების გარანტიებთან“ დაკავშირებით აშშ-სთან მიმდინარე მოლაპარაკებებში.

ამასთან აღსანიშნავია, რომ 8 აგვისტოს NPT-ის მე-10 გადახედვის კონფერენციაზე რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილე იგორ ვიშნევეცკიმ მიმართა კონფერენციის მეორე მთავარ კომიტეტს და განაცხადა, რომ ნატო-მ ღიად აღიარა

[21] იქვე
[22] President Biden Statement Ahead of the 10th Review Conference of the NPT, n.d.
[23] იქვე
[24] Заявление МИД России о ситуации с ДСНВ, n.d.
[25] იქვე

თავი ბირთვულ ალიანსად[26][27]. მის ტერიტორიაზე განლაგებულია აშშ-ის ბირთვული არსენალი და არაბირთვული სახელმწიფოების ჩართულობით მიმდინარეობს მისი გამოყენების პრაქტიკული გზების შემუშავება. ვიშნევეცკის განმარტებით, აღნიშნული ეწინააღმდეგება NPT-ის პრინციპებს, ნეგატიურად მოქმედებს საერთაშორისო და ევროპულ უსაფრთხოებაზე და ზრდის ბირთვული კონფლიქტის რისკებს. უნდა მოხდეს აშშ-ის ბირთვული იარაღის გაყვანა ალიანსის ტერიტორიიდან, ევროპაში არსებული შესაბამისი ინფრასტრუქტურის ლიკვიდირება და ნატო-ს ერთობლივი ბირთვული მისიების პრაქტიკის გაუქმება.[28]

გარდა ამისა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესს-სპიკერმა მარია ზახაროვამ განაცხადა, რომ რუსეთი ყოველთვის მზად არის ითანამშრომლოს შეიარაღებაზე კონტროლის საკითხებზე, რის მაგალითსაც წარმოადგენს 2021 წლის დეკემბერში აშშ-სა და ნატო-სთვის შეთავაზებული დოკუმენტები ე.წ. „უსაფრთხოების გარანტიების“ შესახებ.[29] მისივე განმარტებით, აშშ-მა ეს შემოთავაზება არ მიიღო, შესაბამისად ახლა მხოლოდ ამერიკაზეა დამოკიდებული ისურვებენ თუ არა შეიარაღებაზე კონტროლის შესახებ მოლაპარაკებების განახლებას, მათ შორის სტრატეგიული სტაბილურობის დიალოგის ფარგლებში.[30]

მიუხედავად რუსეთის მხრიდან მომდინარე ნეგატიური გზავნილებისა, აშშ მაინც მზად არის აწარმოოს მოლაპარაკებები რუსეთთან New START-ის გაგრძელების შესახებ. ამერიკული მხარის მიზანია შეინარჩუნოს შეიარაღებაზე კონტროლის ეს ერთადერთი ხელშეკრულება, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს მხარეებს შორის.

ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ New START-ს გაგრძელების საკითხზე 2022 წლის 29 ნოემბერს დაგეგმილი იყო შეხვედრა რუსეთსა და ამერიკას შორის ეგვიპტეში. მიუხედავად, ამერიკული მხარის სრული მზაობისა, რუსეთმა შეხვედრა ცალმხრივად გააუქმა[31]. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგეი რიაბკოვის განცხადებით, შექმნილ ვითარებაში რუსულ მხარეს სხვა გამოსავალი

---

[26] იგულისხმება ივნისში მადრიდის სამიტზე მიღებული ნატო-ს სტრატეგიული კონცეფცია 2030, რომელშიც ნახსენებია, რომ „ნატო წარმოადგენს ბირთვულ ალიანსს“. აღსანიშნავია, რომ რუსეთის წარმომადგენელი ამ ჩანაწერს წარმოაჩნეს სიახლედ. სინამდვილეში, ალიანსის სტრატეგიულ კონცეფციებში მოცემული ფორმულირება უცვლელად ნარჩუნდება 2010 წლიდან.

[27] Выступление заместителя руководителя российской делегации И.С.Вишневецкого на X Конференции по рассмотрению действия ДНЯО (II Главный комитет), 2022

[28] იქვე

[29] Брифинг официального представителя МИД России М.В.Захаровой, n.d.

[30] იქვე

[31] Atwood, K. & Hansler, J., 2022

არ ჰქონდა, გარდა შეხვედრის გადადებისა, ვინაიდან დღის წესრიგის შეთანხმებისას არ ხდებოდა რუსული ინტერესების გათვალისწინება[32].

2023 წლის 21 თებერვალს, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა[33], რომ რუსეთი აჩერებს მონაწილეობას New START-ში, თუმცა არ გადის ხელშეკრულებიდან.

ამაზე პასუხად, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა პრესასთან საუბრისას პრეზიდენტ პუტინის გადაწყვეტილებას უპასუხისმგებლო უწოდა და განაცხადა[34], რომ აშშ ყურადღებით დააკვირდება რუსეთის შემდგომ ქმედებებს. ბლინკენმა თქმით, მიუხედავად ყველაფრისა, აშშ მზად არის აწარმოოს შეიარაღებაზე კონტროლის მოლაპარაკებები რუსეთთან, თუმცა ამავდროულად ამერიკა მზად არის დაიცვას საკუთარი და მოკავშირეებისა და პარტნიორების უსაფრთხოება ნებისმიერ გარემოებაში.

პრეზიდენტმა ბაიდენმა კი, ხსენებულ გადაწყვეტილებას დიდი შეცდომა უწოდა[35].

შეიარაღებაზე კონტროლის მომავალი

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი 1987 წელს ამბობდა: „მსოფლიო ბირთვული იარაღის გარეშე შეიძლება იყოს ოცნება, მაგრამ შეუძლებელია მტკიცე თავდაცვა დავაფუძნოთ ოცნებებს. თუ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის იმაზე მეტი ნდობა არ იქნება, ვიდრე დღეს არის, მსოფლიო ბირთვული იარაღის გარეშე ნაკლებად სტაბილური და მეტად სახიფათო გახდება ყველა ჩვენგანისთვის“.

სამწუხაროდ, 30 წლის შემდეგაც კი ვითარება უცვლელია. რუსეთი განაგრძობს დესტრუქციულ ქმედებებს. მეტიც, 21-ე საუკუნეში ის უკვე მეორეჯერ აწარმოებს სრულმასშტაბიან სამხედრო აგრესიას სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამასთან, რუსეთის ლიდერები არ ერიდებიან ბირთვული იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებული საშიშ რიტორიკას. ასეთ ვითარებაში, უახლოეს მომავალში რთულია წარმოვიდგინოთ შეიარაღებაზე

[32] Россия и США не смогли согласовать программу работы комиссии по ДСНВ, 2022
[33] Послание Президента Федеральному Собранию, 2023
[34] Secretary Antony J. Blinken Remarks to the Press, 2023
[35] Kenny, C. & Concepcion, S, 2023

კონტროლის არქიტექტურის იმ ფორმით აღდგენა, როგორიც ცნობილი იყო აქამდე. ეს რა თქმა უნდა ეხება, New START-ის შესაძლო გაგრძელების საკითხსაც.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ჩინეთის ფაქტორიც, რომელსაც აშშ თავის სწორ გლობალურ მოთამაშედ აღიქვამს, რაც ბაიდენის ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებული არაერთი სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტით დასტურდება. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის აქვს სურვილი აწარმოოს შეიარაღებაზე კონტროლის მოლაპარაკებები ჩინეთთან. თუმცა ჩინური მხარე არ მოდის შემხვედრ ნაბიჯებზე. ამ დრომდე, მათი განცხადებით დამაბრკოლებელი ფაქტორი იყო აშშ-დიდი ბრიტანეთ-ავსტრალიის პარტნიორობა (AUKUS), რომელიც ჩინეთის განმარტებით მიზნად ისახავს ავსტრალიის ბირთვული იარაღით აღჭურვას. მაშინ როდესაც AUKUS-ის საფუძველზე აშშ და დიდი ბრიტანეთი დაეხმარებიან ავსტრალიას ბირთვულ ძრავზე მომუშავე წყალქვეშა ხომალდების წარმოებაში, რაც სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოს (IAEA) ვალდებულებებთან. AUKUS-თან დაკავშირებით რუსეთიც იზიარებს ჩინეთის პოზიციას. აღნიშნულ ვითარებას ემატება ასევე ბოლო დროს ტაივანის გარშემო განვითარებული მოვლენები და ჩინეთის მხრიდან სამხედრო და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შეჩერება აშშ-სთან.

აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მოცემულ ვითარებაში ძნელად წარმოსადგენია პოზიტიური პროგნოზების გაკეთება შეიარაღებაზე კონტროლის არქიტექტურის მომავალთან დაკავშირებით. ერთი მხრივ რუსეთის დესტრუქციული ქმედებები, ხოლო მეორე მხრივ ჩინეთის მზარდი ბირთვული და სამხედრო ამბიციები, აშშ-ის მოქმედ ადმინისტრაციას რთულ მდგომარეობაში აყენებს. მიუხედავად იმისა, რომ ბაიდენის ადმინისტრაციის ერთ-ერთ მთავარ მიზანს შეიარაღებაზე კონტროლის რეჟიმის გაძლიერება და ამერიკის ბირთვული პოტენციალის შემცირება წარმოადგენდა, საერთაშორისო უსაფრთხოების არსებული გარემო განსხვავებული ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს. წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის შესანარჩუნებლად და ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად, სავარაუდოა, რომ აშშ-ს მოუწევს ბირთვული იარაღის როლის გაძლიერება თავდაცვისა და შეკავების სტრატეგიის ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ ასეთივე მოსაზრებას იზიარებენ ამერიკელი კანონმდებლებიც. მაგალითად აშშ-ის სენატორმა ჯიმ რიშმა, New START-ის ფარგლებში ინსპექტირების ცალმხრივი შეჩერების თაობაზე რუსეთის განცხადების საპასუხოდ ბაიდენის ადმინისტრაციას მოუწოდა, რომ საჭიროა ამერიკის თავდაცვისა და

შეკავების გაძლიერება სარაკეტო თავდაცვის აღჭურვითა და ბირთვული იარაღის სრული მოდერნიზებით. მიუღებელი რეჟიმებისთვის ამერიკასთან თანამშრომლობა შეიარაღებაზე კონტროლის საკითხებზე სისუსტის გამოვლინებაა.

შეიძლება ითქვას, რომ ბირთვული შეკავების სტრატეგიისთვის პრიორიტეტის მინიჭება უკვე შეიჩნევა აშშ-ის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში. 2022 წლის აშშ-ის ბირთვული შეკავების სტრატეგიისა და პოლიტიკის დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ „მანამ სანამ არსებობს ბირთვული იარაღი, აშშ-ის ბირთვული იარაღის ფუნდამენტური როლია აშშ-სა და მის პარტნიორებზე შესაძლო ბირთვული თავდასხმის შეკავება. ამერიკა გამოიყენებს ბირთვულ იარაღს უკიდურეს შემთხვევაში, რათა დაიცვას აშშ-ის, მისი მოკავშირეებისა და პარტნიორების ფუნდამენტური ინტერესები“.

ამასთან, დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ „აშშ კვლავ ეყრდნობა ბირთვულ იარაღს ყოველგვარი სტრატეგიული - მათ შორის ბირთვული და არაბირთვული საშუალებებით განხორციელებული - შეტევის შესაკავებლად. აღნიშნული მიდგომა მოწინააღმდეგეს ურთულებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს და შესაბამისად ის გამოხატავს გონივრულ და მასტაბილურებელ მიდგომას სხვდასხვა შეტევის შესაკავებლად დინამიურ უსაფრთხოების გარემოში“.

აღნიშნულთან, დოკუმენტი ასევე ხაზს უსვამს შეიარაღებაზე კონტროლის მნიშვნელობას და არ უგულვებელყოფს მას. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან აშშ-ის და განსაკუთრებით მოქმედი ადმინისტრაციის ინტერესებშია მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა მსოფლიოში თანამშრომლობითი პრინციპის მაქსიმალური გამოყენების საშუალებით.

თუმცა ამგვარი მცდელობების მიუხედავად, შექმნილ ვითარებაში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბირთვული შეკავების სტრატეგია უფრო მეტად იქნება გაძლიერებული დასავლეთის, კერძოდ კი აშშ-ის მხრიდან. ამ მდგომარეობით კი, შეუძლებელია ვისაუბროთ შეიარაღებაზე კონტროლის მომავალზე. ამის საპირისპიროდ, შესაძლოა უახლოეს მომავალში ჩვენ იმაზე მწვავე და დაძაბული ვითარება მივიღოთ გლობალური უსაფრთხოების გარემოში აღნიშნული კუთხით, ვიდრე ცივი ომის პერიოდში.

დასკვნა

შეიარაღებაზე კონტროლის მექანიზმები ნამდვილად წარმოადგენს კაცობრიობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევას. სამხედრო სფეროში მზარდი ტექნოლოგიური განვითარების მიუხედავად, რაციონალური აქტორები თავის დროზე მიხვდნენ, რომ მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი იყო რაიმე სახის მარეგულირებელი ინსტრუმენტების შექმნა. შედეგად ჩვენ მივიღეთ შეიარაღებაზე კონტროლის სხვდასხვა ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

ამის მიუხედავად, ყველასთვის გასაგებია, საერთაშორისო ურთიერთობებში არსებობენ არარაციონალური აქტორები, რომლებსაც საკუთარი მიზნების მისაღწევად არ სურთ კეთილსინდისიერი ქმედებებით ხელმძღვანელობა. რუსეთი ერთ-ერთ ასეთ მოთამაშეს წარმოადგენს. წლების განმავლობაში, ის გამუდმებით არღვევდა საერთაშორისო სამართლის უნივერსალურ პრინციპებსა და ნორმებს; მან უარი თქვა ცივი ომის დასრულების შემდგომ დასავლეთის მიერ შემოთავაზებულ თანამშრომლობითი უსაფრთხოების პრინციპებზე; რუსეთი მუდმივად არღვევდა საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, მათ შორის შეიარაღებაზე კონტროლზე, ნაკისრ ვალდებულებებს; 21-ე საუკუნეში ის თავს დაესხა და სრული სამხედრო აგრესია გამოიყენა და იყენებს სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოების საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ. უკრაინაში მიმდინარე ომში განცდილი მარცხის შედეგად დღეს ის არც ერიდება ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ მუქარის შემცველი განცხადებების გაკეთებას დასავლეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ასეთ ვითარებაში, შეუძლებელია საუბარი შეიარაღებაზე კონტროლის მომავალზე საუბარი. რუსეთი ყოველი ქმედებით ამტკიცებს, რომ მას არ სურს თანამშრომლობა საერთაშორისო უსაფრთხოების საკვანძო საკითხებზე. შესაბამისად, უახლოეს მომავალში ჩვენ უნდა ველოდოთ დასავლეთის, კერძოდ კი აშშ-ის უსაფრთხოების პოლიტიკაში ბირთვული შეკავების სტრატეგიის გაძლიერების ტენდენციებს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო დღის წესრიგის აღდგენა და დემოკრატიის ტრიუმფი ავტოკრატიასთან ბრძოლაში.

ბიბლიოგრაფია

Atwood, K. & Hansler, J. (2022, November 3). Russia postpones nuclear arms control talks with US, State Department says. CNN.
https://edition.cnn.com/2022/11/28/politics/us-russia-arms-control-talks/index.html

INF Treaty. (n.d.). The Nuclear Threat Initiative.
https://www.nti.org/education-center/treaties-and-regimes/treaty-between-the-united-states-of-america-and-the-union-of-soviet-socialist-republics-on-the-elimination-of-their-intermediate-range-and-shorter-range-missiles/

Joint Statement on the Outcomes of the U.S. – Russia Strategic Stability Dialogue in Geneva on September 30. (n.d.). U.S. State Department.
https://www.state.gov/joint-statement-on-the-outcomes-of-the-u-s-russia-strategic-stability-dialogue-in-geneva-on-september-30/

Kenny, C. & Concepcion, S. (2023, February 22). Biden says Putin made a 'big mistake' on New START treaty. NBC News.
https://www.nbcnews.com/politics/joe-biden/biden-says-putin-made-big-mistake-new-start-treaty-rcna71764

Memorandum on security assurances in connection with Ukraine's accession to the Treaty on the Non-Proliferation of Nuclear Weapons. (n.d.). UN.
https://treaties.un.org/Pages/showDetails.aspx?objid=0800000280401fbb

New START Treaty. (n.d.). U.S. State Department.
https://www.state.gov/new-start/

President Biden Statement Ahead of the 10th Review Conference of the Treaty on the Non-Proliferation of Nuclear Weapons. (n.d.). The White House.
https://www.whitehouse.gov/briefing-room/statements-releases/2022/08/01/president-biden-statement-ahead-of-the-10th-review-conference-of-the-treaty-on-the-non-proliferation-of-nuclear-weapons/

Respuesta de EE UU. (2022, February 2). In El Pais.
https://elpais.com/infografias/2022/02/respuesta_otan/respuesta_otan_eeuu.pdf

Secretary Antony J. Blinken Remarks to the Press. (2023, February 21). U.S. State Department.
https://www.state.gov/secretary-antony-j-blinken-remarks-to-the-press-7/

START I. (n.d.). The Nuclear Threat Initiative.
https://www.nti.org/education-center/treaties-and-regimes/treaties-between-united-states-america-and-union-soviet-socialist-republics-strategic-offensive-reductions-start-i-start-ii/

Strategic Arms Limitations Talks/Treaty (SALT) I and II. (n.d.). The Office of the Historian.
https://history.state.gov/milestones/1969-1976/salt

Troianovski, A. & Barnes, J.E. (2021, November 2). U.S.-Russia Engagement Deepens as C.I.A. Head Travels to Moscow. The New York Times.
https://www.nytimes.com/2021/11/02/world/europe/united-states-russia-william-burns.html

Under Secretary Nuland's Trip to Russia, Lebanon, and the United Kingdom. (n.d.). U.S. State Department.
https://www.state.gov/under-secretary-nulands-trip-to-russia-lebanon-and-the-united-kingdom/

U.S. Withdraws From Intermediate-Range Nuclear Forces Treaty. (n.d.). U.S. Department of Defense.
https://www.defense.gov/News/News-Stories/Article/Article/1924779/us-withdraws-from-intermediate-range-nuclear-forces-treaty/

Брифинг официального представителя МИД России М.В.Захаровой, Москва, 29 сентября 2022 года. (n.d.). МИД РФ.
https://www.mid.ru/ru/foreign_policy/news/1831837/#20

Выступление заместителя руководителя российской делегации И.С.Вишневецкого на X Конференции по рассмотрению действия ДНЯО (II Главный комитет). (n.d.). Постоянное представительство РФ при ООН.
https://russiaun.ru/ru/news/080822vt

Договор между Российской Федерацией и Соединенными Штатами Америки о гарантиях безопасности. (n.d.). МИД РФ.
https://mid.ru/ru/foreign_policy/rso/nato/1790818/

Заявление МИД России о ситуации с Договором о мерах по дальнейшему сокращению и ограничению стратегических наступательных вооружений (ДСНВ). (n.d.). МИД РФ.
https://mid.ru/ru/foreign_policy/news/1825525/

Послание Президента Федеральному Собранию. (2023, February 21). Администрация Президента РФ.
http://kremlin.ru/events/president/news/70565

Россия и США не смогли согласовать программу работы комиссии по ДСНВ. (2022, November 29). In РИА Новости.
https://ria.ru/20221129/dsnv-1835050404.html